დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საჯარო მმართველობის რუსულენოვანი სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

6 მარტი, 2026 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება;
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევის შესწავლა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევის შესწავლა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება;
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება;
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება.

ექსპერტი

სახელი ----------ზურაბ----------

გვარი ----------აზნაურაშვილი----------

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349 192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საჯარო მმართველობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების / საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413
7	სწავლების ენა	რუსული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	თბილისი, მ. კოსტავას №77
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	20.02.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	20.02.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	20.02.2032

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		+		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	+			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	+			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	+			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	+			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამებში, ჩამოყალიბდეს უფრო ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომლის შეფასების შედეგები პირდაპირ გამოიწვევს პროგრამულ ცვლილებებს, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე.
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს „აკადემიური წერის“ სავალდებულო კურსი.
3. რეკომენდებულია, „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“ დაემატოს სავალდებულო ბლოკში.
4. რეკომენდებულია, რუსულენოვანი პროგრამის წინაპირობებში გათვალისწინებული იყოს რუსული ენის ცოდნა.
5. რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის და ინტერნაციონალიზაციისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

ანგარიში წარმოდგენილია 2026 წლის 20 თებერვალს, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში.

რეკომენდაციის შესრულების პროცესის ორგანიზება უზრუნველყო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ოთარ ქოჩორაძემ. თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყვნენ: პროფესორები შოთა დოღონაძე, მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი ბაღათურია, ნუნუ ოვსიანიკოვა; ასოცირებული პროფესორები: თამარ რევაზიშვილი, ბესარიონ შერაზადიშვილი, სოფიო დოღონაძე, ავთანდილ ადეიშვილი, ნინო ჩიკვილაძე.

რეკომენდაციების შესრულების მიზნით ჯგუფმა ითანამშრომლა, როგორც ყველა დაინტერესებულ პირთან (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვა), ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის პროფესორ რუსუდან

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით.

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ქუთათელაძისა და საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის უფროსის პროფესორ გენადი იაშვილის ჩართულობით.

პირველი რეკომენდაციის შესრულების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩამოყალიბდა ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების პროცესების სისტემურობას, გამჭვირვალობასა და მიღებული შედეგების საფუძველზე პროგრამული ცვლილებების განხორციელებას. ამასთან, განახლდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, განისაზღვრა რაოდენობრივი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, განახლებული უკუკავშირის ფორმალიზებული ციკლი უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და პროგრამის უწყვეტ ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

მეორე და მესამე რეკომენდაციების შესრულების მიზნით ჯგუფის მიერ შემუშავდა ახალი სასწავლო კურსები „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“ და „აკადემიური წერა“, რომლებიც ინტეგრირდა პროგრამის კურიკულუმში.

მეოთხე რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დაემატა რუსული ენის ცოდნა.

მეხუთე რეკომენდაციის შესრულების მიზნით განხორციელდა ცვლილებები 2026-2027 წლების სასწავლო წლების ბიუჯეტში, რის შედეგადაც აისახა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის და ინტერნაციონალიზაციისთვის საჭირო ფინანსური რესურსები.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მონიტორინგის უფრო თანმიმდევრული და სისტემური მიდგომა.
2. სასურველია, პროგრამებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მონაცემების შეგროვების და ანალიზის უფრო სტრუქტურირებული მიდგომა.
3. სასურველია, უკუკავშირის სპეციფიკური მექანიზმები მორგებული იყოს თითოეული პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე.
4. გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტებს ესაჭიროებათ მეტი პრაქტიკული აქტივობები. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო გაამარავალფეროვნოს სწავლების და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი. მაგალითად, სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს მეტი სტაჟირება, მასტერკლასი, საჯარო ლექცია, დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები და ა.შ.
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა და მისმა პერსონალმა გააუმჯობესოს სტუდენტებთან კომუნიკაცია და ჩართულობა, განსაკუთრებით ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში მათგან მეტი რეკომენდაციის და რჩევის მიღების მიზნით.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა მომავალში მაგისტრანტებს და დოქტორანტებს გაუწიოს მეტი მხარდაჭერა მათ კვლევით საქმიანობაში. შეთავაზებული უნდა იყოს კვლევების ინტერნაციონალიზაციის და ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური შესაძლებლობები.
8. ნაშრომების შესწავლისას გამოვლინდა აკადემიური წერის ნორმების დარღვევის რამდენიმე მაგალითი. სასურველია, ხელმძღვანელებმა აღნიშნული მიმართულებით უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან და მისცენ რჩევები და რეკომენდაციები.
9. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს როგორც აკადემიური, ისე დამხმარე პერსონალის აკადემიური განვითარება, რისთვისაც არ უნდა დაიშუროს არც ფინანსური და არც მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.
10. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროფესიული და დარგობრივი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების შეთავაზება.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო).

11. სასურველია, გაუმჯობესდეს არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხი და გაგრძელდეს საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრება.
12. სასურველია, სამუშაო სივრცეების ხელმისაწვდომობის მუდმივი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.
13. სასურველია, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში თავიანთი სასწავლო, კვლევითი და სხვა აკადემიური საქმიანობის შესახებ. ყოველივე აღნიშნული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ კვლევებთან ერთად, დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ეფექტური გახადოს წახალისების მექანიზმები იმ პროფესორებისთვის და ლექტორებისთვის, რომლებიც მიმდინარე აკადემიურ წელს გამოირჩეოდნენ აქტიურობით, აქვეყნებდნენ სტატიებს რეცენზირებად ჟურნალებში, სტუდენტებისგან იღებდნენ უმაღლეს შეფასებებს და ა.შ.
14. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ისეთ აქტივობებში უწყვეტი ჩართულობით, როგორიცაა გაცვლითი პროგრამების კვლევა, საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და რეგულარული ინიციატივების ორგანიზება ყოველი აკადემიური წლისთვის.
15. სასურველია, სტუდენტების, ახალგაზრდა პროფესიონალების და მკვლევრების მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით ეფექტური მექანიზმების შემუშავება, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მდგრადობის და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
16. სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის კვლევასთან, გამოქვეყნებებთან და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერა.
17. სასურველია, გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება, ასევე გასაუმჯობესებელ სფეროებთან მიმართებით დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს ვადები.
18. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამების და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა გამოავლინოს და 10 აღმოფხვრას სწავლება / სწავლის მეთოდებში, შეფასების მეთოდებში, შეფასების რუბრიკებში, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შემუშავების პროცესში და ა.შ. არსებული ხარვეზები.
19. სასურველია, უფრო კონკრეტული კრიტერიუმებით განისაზღვროს სუბიექტური ტერმინები, როგორიცაა "ღრმა და სისტემური ცოდნა" იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სიცხადე და გაზომვადობა.
20. სასურველია, სიცხადის და გაზომვადობის გაუმჯობესების მიზნით უფრო კონკრეტულად განისაზღვროს ისეთი სუბიექტური ტერმინები, როგორიცაა "სისტემურად" და "ინოვაციური მეთოდები".
21. სასურველია, გაფართოვდეს არჩევითი კურსები: კერძოდ, სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, კლიმატის მართვა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო მმართველობაში. სასურველია, გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლება: კერძოდ, რეალური გამოცდილების მიღების მიზნით, სასურველია სამთავრობო დაწესებულებეთან თანამშრომლობით პროგრამაში გათვალისწინებული იყოს სავალდებულო სტაჟირება ან კოლაბორაციული პროექტები. სასურველია, მოხდეს კურსის შინაარსის გათანამედროვება: სასურველია, განახლდეს არსებული კურსები, როგორიცაა "სტატისტიკა საჯარო მმართველობაში" იმისათვის, რომ მოიცვას გაძლიერებული ანალიტიკა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტები. სასურველია, გაძლიერდეს ინტერდისციპლინური კვლევა: უზრუნველყავით ინტერდისციპლინური კვლევის შესაძლებლობები, რომელიც საჯარო მმართველობას აერთიანებს ეკონომიკასთან, ტექნოლოგიებთან და გარემოსდაცვით კვლევებთან.
22. სასურველია, გაფართოვდეს ციფრული მმართველობის შინაარსი: დაამატეთ ციფრულ ტრანსფორმაციასთან, დიდ მონაცემთა ანალიტიკასთან და მმართველობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული დამატებითი კურსები ან მოდულები იმისათვის, რომ სასწავლო გეგმა შეესაბამებოდეს თანამედროვე გამოწვევებს. სასურველია, სასწავლო მასალების განახლება: რეგულარულ რეჟიმში უნდა გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო მასალები იმისათვის, რომ დაემატოს საჯარო მმართველობაში არსებული უახლესი კვლევები, შემთხვევები და ტექნოლოგიური მიღწევები.
23. შესაძლებელი და სასურველია ენის ცოდნის დადასტურება ხორციელდებოდეს გასაუბრების გზით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა 23 რჩევა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია[14] I	რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამებში, ჩამოყალიბდეს უფრო ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომლის შეფასების შედეგები პირდაპირ გამოიწვევს პროგრამულ ცვლილებებს, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე
შეფასება	უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალიზებული წლიური სამუშაო ციკლი, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. ამ მიზნით, განახლდა შეფასების მექანიზმი, განისაზღვრა რაოდენობრივი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები, ასევე იდენტიფიცირდა კონკრეტული განმამტკიცებელი სასწავლო კურსები, სადაც ხდება შედეგების პირდაპირი გაზომვა. პარალელურად, დაინერგა არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, რომელთა შედეგებიც ოპერატიულად მიეწოდება პერსონალს პროგრამული ცვლილებების განსახორციელებლად. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებები	• კვლევასა და მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამუშაო ციკლი; • კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია[16] II	რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს „აკადემიური წერის“ სავალდებულო

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში.
[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით.
[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით.
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	კურსი
შეფასება	უნივერსიტეტმა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის ძირითად ბლოკში დაამატა ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა[17] II	
შეფასება	
მტკიცებულებები	• მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ (განახლებული ვერსია). • ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №7. • სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი): „აკადემიური წერა“.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია[18] III	რეკომენდებულია, „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“ დაემატოს სავალდებულო ბლოკში
შეფასება	უნივერსიტეტმა განაახლა კურიკულუმის სტრუქტურა და სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“ არჩევითი საგნების ნუსხიდან სავალდებულო კომპონენტების ბლოკში გადაიტანა. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა[19] III	
შეფასება	
მტკიცებულებები	• მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ (განახლებული ვერსია). • ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №7. • სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი): „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია[20] IV	რეკომენდებულია, რუსულენოვანი პროგრამის წინაპირობებში გათვალისწინებული იყოს რუსული ენის ცოდნა
შეფასება	უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში სავალდებულო მოთხოვნად ასახა რუსული ენის ცოდნა. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა[21] IV	
შეფასება	
მტკიცებულებები	• მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ (განახლებული ვერსია). • ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №7.

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია[22] V	რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის და ინტერნაციონალიზაციისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი
შეფასება	უნივერსიტეტმა ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2026 წლის ბიუჯეტში განახორციელა მიზნობრივი ცვლილებები, რის შედეგადაც გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციისათვის განსაზღვრული თანხები. აღნიშნული ქმედება და წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს ფინანსური რესურსების ზრდის დინამიკასა და უნივერსიტეტის მზაობას სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერაზე. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა[23] V	
შეფასება	
მტკიცებულებები	• ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2026 წლის ბიუჯეტი; • ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2024-2026 წლების ბიუჯეტების შედარებითი ანალიზი

თანდართული დოკუმენტაცია[24]

ექსპერტის ხელმოწერა

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა